

ხელშეკრულება ნავთობპროდუქტების გადაზიდვის შესახებ

თბილისი

_____ 2020 წ.

ერთის მხრივ შპს „ლუკოილ-ჯორჯია“, შემდგომში წოდებულმა როგორც „გამგზავნი“, მისი დირექტორის მიხაილო ჯუროვიჩის სახით და მეორეს მხრივ _____, შემდგომში წოდებულმა როგორც „გადამზიდი“, მისი დირექტორის _____ სახით დებენ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. დამკვეთმა ჩაატარა ტენდერი ნავთობპროდუქტების (შემდგომში წოდებული როგორც „ტვირთი“) გადაზიდვის შესახებ ბენზინმზიდებით, სადაც № _____ ლოტის გამარჯვებულად გამოცხადდა _____, რომელმაც იკისრა ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტებში ასახული პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.
- 1.2. „გადამზიდი“ იღებს ვალდებულებას გადაზიდოს ტვირთი საკუთარი ძალებით და ჩატარებული ტენდერის შედეგად შეთანხმებული ტარიფით. ტვირთი უნდა იყოს მიწოდებული დანიშნულების ადგილზე და გადაცემული შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ს უფლებამოსილ პირზე. „გამგზავნი“ ვალდებულებას იღებს დროულად ანაზღაუროს „გადამზიდი“-ს მომსახურება.
- 1.3. ტვირთის მიღების ადგილი და ტვირთის გადაცემის ადგილი განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების №1 დანართით. მონაცემები ასევე აისახება გადაზიდვის თანმდევ სპეციალურ ანგარიშფაქტურაში და ელექტრონულ საგადასახადო ზედნაღებებში.
- 1.4. ტვირთის გადაზიდვისას იქმნება მატერიალური პასუხისმგებლობის უკანასკნელზე გადაცემის ორი წერტილი. პირველი - ნავთობბაზაში ნავთობპროდუქტის ჩასხმისას, მატერიალური პასუხისმგებლობა გადადის ნავთობბაზიდან „გადამზიდი“ზე. მეორე - ნავთობპროდუქტის დაცლისას აგს-ზე, მატერიალური პასუხისმგებლობა გადადის „გადამზიდი“-დან ავტოგასამართი სადგურის კოლექტივზე (აგს).

2. მხარეთა უფლება მოვალეობანი

- 2.1. „გადამზიდი“ ვალდებულია:
 - 2.1.1. ნავთობპროდუქტის გადაზიდვისთვის გამოიყენოს ტექნიკურად გამართული სატრანსპორტო საშუალებები;
 - 2.1.2. უზრუნველყოს პასუხისმგებლობის დაზღვევა გადაზიდვისას;

- 2.1.3. გადაზიდვებზე დაუშვას თანამშრომლები, რომლებსაც გავლილი აქვთ შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი, სამუშაოთა შესრულებაზე სრული სანებართვო დოკუმენტაციის მქონე და ნავთობპროდუქტების გადაზიდვებისათვის მორგებული სპეცტანსაცმლით უზრუნველყოფილნი;
- 2.1.4. ბენზინმზიდების გამართვა მოახდინოს შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ში შეძენილი საწვავით. საწვავის შეძენის პირობები განისაზღვრება ცალკე ხელშეკრულებით;
- 2.1.5. მოახდინოს „გამგზავნი“-ს იფორმირება ბენზინმზიდით მანამდე გადატანილი ნავთობპროდუქტის შესახებ, გაითვალისწინოს ბენზინისა და დიზელის საწვავის შერევის გარეშე ნავთობპროდუქტების გადატანის შესაძლებლობა;
- 2.1.6. დამოუკიდებლად განახორციელოს გადაზიდვების შემსრულებელი ბენზინმზიდების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
- 2.1.7. დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის უსაფრთხოების წესები ნავთობპროდუქტების ჩასხმისა და დაცლისას, არ განახორციელოს ნავთობპროდუქტების ჩასხმისა და დაცლის პროცედურები ავტოცისტერნის დამიწების გარეშე, ნავთობპროდუქტების ჩასხმისა და დაცლის დროს უზრუნველყოს მძღოლ-ექსპედიტორის უწყვეტი ყოფნა ბენზინმზიდის ჩასხმის ბაქანზე;
- 2.1.8. მხარეთა შორის შეთანხმებული მარშრუტის შესაბამისად და გონივრულ ვადებში, პლომბების დაზიანებისა და ტვირთის დანაკლისის გარეშე უზრუნველყოს დანიშნულების ადგილამდე იმ დასახელებისა და ხარისხის ნავთობპროდუქტების გადაზიდვა, როგორც აღნიშნულია სპეციალურ საგადასახადო დეკლარაციაში;
- 2.1.9. „გადამზიდი“ ვალდებულია წარმოუდგინოს „გამგზავნი“-ს ბენზინმზიდების ავზებზე აქტუალური კალიბრაციის ცხრილების ასლები, ასევე დროულად მოახდინოს აღნიშნული დოკუმენტების განახლება. კალიბრაციის ცხრილები მიღებულ უნდა იქნენ შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ორგანიზაციაში;
- 2.1.10. ტვირთის გადაზიდვისას ტვირთსა და მისი დაცულობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება „გადამზიდ“-ს;
- 2.1.11. „გადამზიდი“ ვალდებულია, ნავთობპროდუქტების გადაზიდვისას, გამორიცხოს მძღოლ-ექსპედიტორების მხრიდან ნავთობპროდუქტებზე არასანქცირებული წვდომის ფაქტები;
- 2.1.12. „გადამზიდი“ უფლებამოსილია „გამგზავნი“-საგან მოითხოვოს სახელშეკრულებო პირობების კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება.
- 2.2. „გამგზავნი“ ვალდებულია:
 - 2.2.1. გადაზიდვის დაწყებამდე 2 საათის ადრე წარუდგინოს „გადამზიდ“-ს ინფორმაცია შესასრულებელი რეისების შესახებ და გადასცეს ყველა საბუთები, რომლებიც აუცილებელია ტვირთის დანიშნულების ადგილამდე მისატანად;
 - 2.2.2. ნავთობბაზაზე ტვირთის გადაცემისას უზრუნველყოს ბენზინმზიდის სრული დალუქვა;

- 2.2.3. ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიტანისას, უზრუნველყოს შესაბამისი სადგურის პასუხისმგებელი პირის მიერ, ტვირთის დაუყოვნებელი მიღება;
- 2.2.4. მოახდინოს „გადამზიდი“-ს მიერ განხორციელებული მომსახურების ანაზღაურება;

3. გადაზიდვის საზღაური და მისი გადახდის წესი

- 3.1. გადაზიდვის ღირებულება ყოველ გადაზიდულ ლიტრზე შეადგენს _____ ლარს დღგ-ს ჩათვლით;
- ძეგვის ნავთობბაზის ბაზისზე - _____ ლარი დღგ-ს ჩათვლით;
 - ქუთაისის ნავთობბაზის ბაზისზე - _____ ლარი დღგ-ს ჩათვლით;
 - ბათუმის ტერმინალის ბაზისზე - _____ ლარი დღგ-ს ჩათვლით.
- 3.2. გადაზიდვებზე ანგარიშსწორება ხორციელდება ყოველ საანგარიშო თვეში ორჯერ, გადაზიდული ნავთობპროდუქტების რაოდენობის შესაბამისად, „გადამზიდი“-ს მიერ საგადასახადო ზედნაღებების წარდგენიდან 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის განმავლობაში.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 4.1. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტის პირობების შეუსრულებლობისას, „გადამზიდი“ ვალდებულია სრულად აანაზღაუროს „გამგზავნი“-ზე მიყენებული დანაკარგები, და ვალდებულებების არასათანადოდ შესრულებისათვის გადაიხადოს ჯარიმა წინა თვეში შესრულებული გადაზიდვების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
- 4.2. „გადამზიდი“-ს მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 5.4 და 5.5 პუნქტების პირობების შეუსრულებლობისას, კერძოდ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ მეორე მხარის ერთი თვით ადრე შეუტყობინებლობის შემთხვევაში, „გამგზავნი“ უფლებამოსილია მოითხოვოს „გადამზიდი“-სგან ჯარიმის სახით თანხის გადახდა წინა თვეში მომსახურების ღირებულების ოდენობით.
- 4.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე „გამგზავნი“-ს პასუხისმგებლობა ეკისრება „გადამზიდი“-ს წინაშე.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2020 წლის _____ და მოქმედებს 20____ წლის _____ .
- 5.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შესაძლებელია მოხდეს წერილობითი ფორმით, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. ეს ცვლილებები და

დამატებები შემდგომ წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

- 5.3. წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტში ცვლილებები შესაძლებელია მოხდეს არაუმეტეს 1 (ერთხელ) კალენდარულ კვარტალში. ცვლილებები შესაძლებელია დასაბუთდეს ჩამოსასხმელ ნავთობპროდუქტებზე ფასების ნახტომისებრი მერყეობით.
- 5.4. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია გაწყვიტოს ხელშეკრულება ან მიიღოს გადაწყვეტილება მისი განსაზღვრული დებულებების შეწყვეტის შესახებ, რაც წერილობით უნდა ეცნობოს მეორე მხარეს. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებს დანარჩენი ვალდებულებებისგან.
- 5.5. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია ერთი თვით ადრე წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დაუსრულებელი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6. ფორს-მაჟორი

- 6.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებების შესრულებისაგან გადაულახავი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას (როგორც არის ომი, ხანძარი, ცტიქიური უბედურება, გაფიცვა, სახელმწიფო ხელისუფლების გადატრიალება, სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული აქტი და ცხვა პირობები), რომლებიც აფერხებენ ან შეუძლებელს ხდიან მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების რეალიზაციას.
- 6.2. მხარეები ვალდებული არიან წერილობით აცნობონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოებების შესახებ, მათი დადგომიდან 24 საათის განმავლობაში.
- 6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულების შემდეგ, მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, უზრუნველყონ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომამდე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გონივრულ ვადებში.

7. სხვა დებულებები

- 7.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ ის გაფორმებულია წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ყველა ზეპირი შეთანხმება ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ იურიდიული ძალის არ მქონეა.

- 7.2. მხარეებმა ნებისმიერი შეტყობინება უნდა განახორციელონ წერილობით. ასეთი შეტყობინება ითვლება სათანადოდ გაგზავნილად, თუ იგი მიტანილ იქნა ადრესატთან კურიერის მიერ, გაზავნილია დაზღვეული წერილით ან ფასით ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ.
- 7.3. ყველა ის გარემოება, რომელიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 7.4. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკებით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოში.
- 7.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულად, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

მხარეთა რეკვიზიტები

„გამგზავნი“

„გადამზიდი“

შპს „ლუკოილ-ჯორჯია“
ს.კ. 204976302
მის.: თბილისი, მტკვრის მარჯვენა
სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე
ტერიტორია
საბანკო რეკვიზიტები:
თიბისი ბანკი TBCBGE22
ა/ა GE35TB7815136020100002

მიხაილო ჯუროვიჩი _____
დირექტორი

შეკვეთა ნავთობპროდუქტების საავტომობილო ტრანსპორტით
გადაზიდვის შესახებ

გამგზავნი: _____

გადამზიდი
: _____

პ. №	აგს. №	მისამართი	ნავთობპროდუქტის დასახელება	აგზის №	აგზის მოცულობა
1					
2					
3					